№1703 2015 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

„ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასა და საქართველოს შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და ხ. თოთლაძის მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასა და საქართველოს შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეთანხმება.
2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილი ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**